N 2830 2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მოთხოვნისა და აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

ა) ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, „ცხრაწყაროს“ უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ წყაროებზე (ექვსი წყარო) სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის განისაზღვროს მოთხოვნა, რომ ლიცენზიის მფლობელმა ლიცენზიის მოქმედების პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს ,,ცხრაწყაროს“ უღელტეხილით მოსარგებლე პირებისთვის სასმელი წყლით სარგებლობის ხელმისაწვდომობა;

ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 60 000 ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**